



MES 3 22 0000905730



15/08/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 03 აგვისტოს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting  
<https://us02web.zoom.us/j/2234959888>  
Meeting ID: 223 495 9888  
Passcode: 2022

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

- მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
- მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
- გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
- გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს წევრი;
- თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);
- ნათია კვიციანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
- ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
- თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე თოხაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს წევრი;

**თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია:**

ხათუნა ხურცილავა - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი

**ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“:**

კონსტანტინე დოლიძე - დირექტორი,

ია ნადირაძე - დირექტორის მოადგილე,

ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი,

ეთერი მუხიგულაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

სოფიო მაისურაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

ლელა წიკლაური - პროგრამის განმახორციელებელი,

გიორგი მესხიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი,

მაკა შუბლაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

კახაბერ სოხაძე - პროგრამის განმახორციელებელი.

**სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“:**

ლიკა ალადაშვილი - ადმინისტრაციის (სამმართველო) ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი,

სალომე რობაქიძე - ადმინისტრაციის (სამმართველო) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი,

ეკატერინე მამაცაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს სასწავლო ცენტრის (განყოფილების) უფროსი,

ალექსანდრე ყაველაშვილი - ადმინისტრაციის (სამმართველო) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი,

მარიამ ქავთარაძე - ადმინისტრაციის (სამმართველო) სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელი,

თამარ სართანია - ადმინისტრაციის (სამმართველო) ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის თანამშრომელი,

ლელა მერაბიშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს სასწავლო ცენტრის ( განყოფილება) თანამშრომელი.

### **სსიპ კოლეჯი „ბლექსი“:**

გიორგი გოგიტიძე - კოლეჯის დირექტორი,

მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე,

ნუგზარ ბოლქვაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი კოლეჯის ქედის ლოკაციაზე,

მანანა კობალაძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

გიორგი აბულაძე - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე,

ზურაბ ავალიანი - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე, შპს „ძმები ავალიანები“- ძმები ავალიანების მარანი,

ლაშა ზოიძე - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე, „ ი.მ ლაშა ზოიძე“,

ალექსანდრე ლორქიფანიძე - პარტნიორი ორგანიზაცია ა(ა) იპ „დემოკრატიის ინსტიტუტი“.

### **შპს პეა:**

ნიცა მდივანი - დირექტორი,

გურამ კაკაბაძე - ხარისხის კოორდინატორი,

ოთარ სალდაძე - პროგრამის განმახორციელებელი,

### **პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

გენადი კვერენჩილაძე,

კარმენ ვართანოვი,

ალექსანდრე ჩალათაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ითხოვა ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი:**

1. შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის /01322/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ /01395/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ -ის /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01403/ „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01407/ „მევენახეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს პეას /01412/ „მარკეტინგული კვლევა კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა:** საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ შპს „პეას“-ს საკითხის განხილვა გადაედოთ, შემდეგი უახლოესი სხდომისთვის, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ შპს „პეას“-ს მხრიდან დამატებითი განმარტება გადმოიგზავნა საბჭოს სხდომის წინა დღეს, ამიტომ მისი სრულად გაცნობა ვერ მოხერხდა, ასევე ექსპერტის მხრიდანაც არ არის წარმოდგენილი დასკვნა, რომელსაც შემდგომში უნდა დაეყრდნოს საბჭო. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, სასურველია, ცენტრსა და დაწესებულებას შორის ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კომუნიკაცია განხორციელდეს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს მარიამ ქუჩულორიას და აღნიშნა, რომ ცენტრსაც სურდა სწორედ ამ საკითხზე შუამდგომლობა დაეყენებინა, რადგან მისი მოსაზრებითაც, დაწესებულების მხრიდან საბჭოს სხდომის წინა დღეს, დღის ბოლოს გადმოგზავნილ წერილთან დაკავშირებით, სასურველია, შედგეს კომუნიკაცია ცენტრსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის, დაწესებულებას უნდა მიეცეს შანსი შეხვედრის ფორმატში ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურთან ერთად იმსჯელონ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც მათ აქვთ არგუმენტები წერილში მოყვანილი. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ საქმე ეხება მთავრობის 131-ე დადგენილების მეექვსე მუხლის მეექვსე პუნქტით დადგენილ ნორმას, რომ თუ განსახილველი პროგრამის კვალიფიკაციის დონე ცდება მე-2-მე-5 დონეს ან ვერ დგინდება დონე, საბჭო უფლებამოსილია, საბჭოს აპარატის მიერ მიწოდებული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელებაზე უარის შესახებ. საბჭოს აპარატის მიერ საბჭოს წევრებს მიეწოდა ცენტრის კვალიფიკაციების სამსახურის დასკვნა, რომ შპს პეას მიერ წარმოდგენილი „მარკეტინგული კვლევა კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით“ პროფესიული მომზადების პროგრამის დონე სცდებოდა მე-5 დონეს.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ ის გაეცნო დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას, მაგრამ იმისთვის, რომ გადაწყვეტილება ობიექტურად იყოს მიღებული, მნიშვნელოვანია ცენტრსა და დაწესებულებას შორის მოხდეს კომუნიკაცია, ასევე, მან ისიც აღნიშნა, რომ დასკვნის გარეშე საბჭო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გურამ კაკაბაძემ დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ მათი აზრით, ტექნიკურად, ცენტრის მიერ, დონის დასაბუთება არასწორად იყო შედგენილი, რადგან მხოლოდ კვალიფიკაციების ჩარჩო იყო გამოყენებული, დონის განსაზღვრის

მეთოდოლოგიის გარეშე. ამდენად, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეხვედრის ფორმატში საკითხის განხილვა. აღნიშნული საკითხის განსახილველად, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლები შეთანხმდნენ უახლოეს პერიოდში შეხვედრის ფორმატში საკითხის განხილვის თაობაზე, რის შემდეგაც საბჭოს წევრებმა ერთხმად მოითხოვეს საკითხის გადადება შეხვედრის შედეგებიდან გამომდინარე ვადით.

ნანი დალაქიშვილმა დააყენა შემდეგი შუამდგომლობა: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ -ის სახელწოდებასა და საიდენტიფიკაციო კოდთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილების მომზადების ეტაპზე, საბჭოს აპარატის მიერ აღმოჩენილი იქნა უზუსტობა, კერძოდ, განაცხადში ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ იქნა ორგანიზაციის ძველი სახელი და საიდენტიფიკაციო კოდი, რაც ვერ იქნა იდენტიფიცირებული საბჭოს გადაწყვეტილების პროექტის მომზადებამდე. აღნიშნა, რომ 2019 წლის 31 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ, რომლითაც სსიპ „112“ და „ერთობლივი ოპერაციების ცენტრი“ გაერთიანდა და შეიქმნა სსიპ „112“-ის სამართალმემკვიდრე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიცვალა უწყების საიდენტიფიკაციო კოდიც - 205390487. ეს ცვლილება აისახა საბჭოს გადაწყვეტილებაშიც 2021 წლის 13 ოქტომბრის №1083759 გადაწყვეტილებით. ელექტრონულ პორტალზე განაცხადის შემოტანისას მონაცემები არ განახლებულა განაცხადში და ფიქსირდება ძველი სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი, რის გამოც საბჭოს საკითხშიც ამგვარად ფიქსირდება. შუამდგომლობით მიმართა საბჭოს დღის წესრიგით მესამე საკითხად მოცემული საკითხი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი ფორმულირებით:

3. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ -ის /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭომ დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის /01322/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ /01395/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ -ის /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01403/ „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01407/ „მევენახეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

**1. შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის /01322/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სამჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა

დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და აღნიშნა, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომები განსხვავებული ფორმატით წარიმართოს, რაც იმას გულისხმობს, რომ ჯერ დაწესებულებას მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს პროგრამა და შემდეგ გარკვეულ საკითხებზე ყურადღება გაამახვილოს ექსპერტმა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ წარედგინათ პროგრამა და ყურადღება გაემახვილებინათ მნიშვნელოვან საკითხებზე.

პროგრამა წარმოადგინა დაწესებულების საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერმა ხათუნა ხურცილავამ და ყურადღება გაამახვილა პროგრამის საჭიროებასა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ ეს ფორმატი, ჯერ სატესტო რეჟიმშია, ამიტომ სასურველია ამ სხდომაზე ექსპერტს მიეცეს საშუალება, რომ წარადგინოს პროგრამა, მან სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომ წარედგინა პროგრამა.

დარგის ექსპერტი, გენადი კვერენჩილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 27 მაისის №549118 ოქმისა და „შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიისთვის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ საბჭოს 2022 წლის 27 მაისის №550180 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს შვეიცარულმა აგრარულმა სკოლა კავკასიამ 2022 წლის 14 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ელექტრონული სისტემით (qms.ege.ge) ხარვეზის გამოსწორების შესახებ წარმოადგინა წერილი (განაცხადის ID 01322), კერძოდ ცვლილება განხორციელდა პროგრამაში, ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან, ნაცვლად მემორანდუმისა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა შეისწავლეს შპს „შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ წარმოდგენილი განახლებული პროგრამა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ **1.1. ქვესტანდარტი** უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია დასაქმების, მეწარმეობისა და პიროვნული განვითარების პერსპექტივები, ასევე მისი მხრიდან აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებაა „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“. პროგრამის სწავლების შედეგებია:

1. სურსათის უვნებლობის განვითარების ისტორიული ასპექტებისა და სურსათის უვნებლობის რეგულირების პრინციპების გაცნობა
2. სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეების მართვა
3. სურსათის უვნებლობის საწარმოო შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა
4. სურსათის უვნებლობის საწარმოო შიდა კონტროლის სისტემების მართვა
5. სურსათის უვნებლობის რეგულირების პრინციპების დაცვა პირველადი წარმოების დონეზე
6. მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება
7. სურსათის დაცული დასახელებების გაშიფვრა.

წარმოდგენილი პროგრამა დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების უვნებლობის კუთხით. ორგანიზაციას საკუთრებაში აქვს რძის ქარხანა, ფერმა და ასევე, წარმოდგენილია ხელშეკრულება შპს „ლაშარელასთან“ (სასაკლავოსთან), ამრიგად ექსპერტის თქმით, პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ვინაიდან არის კონკრეტული და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაწესებულებამ სახელწოდებაში დააკონკრეტა, რომ ეს პროგრამა კონკრეტულად რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოებასა და

გადამუშავებას ეხება. წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ - „Food Safety Manager at Dairy and Meat Processing Facility“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**1.3. ქვესტანდარტთან** მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა რომ, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, კერძოდ პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია „გადაამზადოს დაინტერესებული პირები (რომლებსაც აქვთ ცოდნა ან გამოცდილება სასურსათო ტექნოლოგიების, სურსათის ხარისხის კონტროლის ან მსგავს სფეროში) რათა მათ გაულრმავოს ცოდნის დონე სურსათის უვნებლობის, როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო, თანამედროვე მოთხოვნების შესწავლით. პროგრამის დასრულების შემდეგ პირი გახდება შესაბამისი კვალიფიკაციის სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში, რაც თავის მხრივ უვნებელი და შესაბამისი ხარისხის სურსათის წარმოებისა და სამომხმარებლო ბაზარზე განთავსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. პროფესიული გადამზადების პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს დაინტერესებული (მათ შორის ზრდასრული) პირებისთვის სურსათის უვნებლობის სფეროში ცოდნის მიწოდების უწყვეტი ციკლის ორგანიზებას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა-სწავლების შესაძლებლობას და ამ ცოდნის გამოყენების საფუძველზე კურსდამთავრებულთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.“. შესაბამისად, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

**1.4. ქვესტანდარტს** რაც შეეხება, დარგის ექსპერტმა აღნიშნა რომ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში, მისი თქმით პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

აკადემიური ხარისხი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სასურსათო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ქიმიის, ბიოლოგიის და მომიჯნავე სპეციალობებში ან პროფესიული განათლება აგრო-სასურსათო (სოფლის მეურნეობის ან გადამუშავების) ტექნოლოგიების მიმართულებით. პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აპლიკანტთა შეჩვევის ფორმაა გასაუბრება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: აკადემიური ხარისხი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სასურსათო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ქიმიის, ბიოლოგიის და მომიჯნავე სპეციალობებში ან პროფესიული განათლება აგროსასურსათო (სოფლის მეურნეობის ან გადამუშავების) ტექნოლოგიების მიმართულებით. პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

დარგის ექსპერტმა, გენადი კვერენჩილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს, კერძოდ პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს. პროგრამა პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელს შეუძლია ფაქტობრივ გარემოებებზე და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება არაერთგვაროვან გარემოში

კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, შესაბამისი ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, შესაბამისობის შეფასება და გამოყენება (ინფორმაციის მოძიების, შერჩევის, კრიტიკულად გააზრების გზით).

სწავლების მეთოდები კი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალ სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული სავარჯიშო
- დისკუსია
- პრაქტიკული მეცადინეობა
- როლური თამაში
- სასწავლო ექსკურსია საჭიროებების გათვალისწინებით

დარგის ექსპერტის მხრიდან ყურადღება გამახვილდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმაზე, უშუალოდ ეს გულისხმობს იმას, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი.

რაც შეეხება მსმენელის შეფასების სისტემას დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი და წარმოდგენილ პროგრამაში გაწერილია, თუ როდის ხდება მსმენელის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება: „ყოველ კვირას დაგეგმილია განმავითარებელი შეფასება, ხოლო პროგრამის ბოლოს, მერვე კვირას დაგეგმილია განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების მეთოდები: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტი, გენადი კვერენჩილაძე ადასტურებს, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი (1.1. 1.2. 1.4. 1.9. და 1.10. ქვესტანდარტი) შესაბამისად ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია და ასევე, არ არის დარღვეული პირველი სტანდარტი. ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ კენჭისყრაზე დააყენა შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის /01322/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 10**

**მოწინააღმდეგე: 0**

## **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიას (ს/კ: 404550525) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში/01322/ (დანართი).



საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თორნიკე ჯობავამ.

## **2.ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ /01395/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სამჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა წარედგინა პროგრამა.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ნაირა ჭინჭარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების წინაპირობა იყო ბიზნეს - ოპერატორებისა და დამსაქმებლების მხრიდან მომართვა, რომ მათ სჭირდებოდათ სურსათის უვნებლობის მენეჯერი, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამას მეტი აქტუალობა შესძინა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის თაობაზე ხელშეკრულებამ, აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ შეიმუშავა სურსათის უვნებლობის მენეჯერის პროგრამა, რომლის შემუშავებაშიც ჩართული იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლები და ასევე, დამსაქმებელიც.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებად მათ ისეთი დაწესებულებები აქვთ შერჩეული, რომლებიც შემდგომში სტუდენტებთან განახორციელებენ პრაქტიკულ კომპონენტს, ასევე, კოლეჯსაც აქვს კულინარიის ხელოვნებისა და კონდიტერიის სასწავლო სამზარეულოები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ პრაქტიკული კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ დასვა კითხვა დაწესებულების მისამართით, თუ რამდენი იყო კონტინგენტი და ასევე, არიან თუ არა პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც შემდგომში შეძლებენ სტუდენტების დასაქმებას. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ განსაზღვრული აქვთ ორი ჯგუფი, ჯამში 24 სტუდენტი, ასევე, მისი თქმით, საბჭოს ესწრებოდნენ რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანია და ასევე სასტუმროს წარმომადგენლები.

რძისა და რძის პროდუქტების საწარმოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად ჩაერთვებიან სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და შემდგომ მათ დასაქმებაში, მან ისაუბრა იმაზე, რომ აღნიშნული მიმართულებით კადრები დეფიციტშია და სწორედ ამიტომ, ამ პროგრამის განხორციელება არის უმნიშვნელოვანესი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ საწარმოს წარმომადგენელს დაუსვა კითხვა, თუ დღეს როგორ ხდება კადრების მოძიება. საწარმოს წარმომადგენელმა კი საპასუხოდ აღნიშნა, რომ მან ამ მიმართულებით გადამზადება სწორედ იმ საწარმოში გაიარა, სადაც ახლა არის დასაქმებული.

ექსპერტმა მარიამ ქუჩულორიამ კითხვა დაუსვა, კიდევ ერთ დამსაქმებელს, თუ როგორ და რა ვადაში შეძლებენ კურსდამთავრებულების დასაქმებას? სასტუმროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებასა და სასტუმროს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება, მისი მხრიდან აღინიშნა, რომ კოლეჯში გადამზადებული პირები, მათთან გადიან სტაჟირებას და რამდენიმე დასაქმდა კიდევ, რაც შეეხება კონკრეტულად ამ პროგრამას, მისი თქმით აღნიშნული მიმართულება საკმაოდ მოთხოვნადია სასტუმრო მომსახურების სფეროში.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასვა კითხვა, თუ რამდენად მართებულია, ამ პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭოს მენეჯერის კვალიფიკაცია და უშუალოდ ყურადღება გაამახვილა მენეჯერის ტერმინოლოგიურ მნიშვნელობაზე. ამ საკითხმა საბჭოს წევრებს, ექსპერტსა და დაწესებულებას შორის დისკუსია გამოიწვია.

გიორგი გამყრელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის აღწერილობიდან გამომდინარე, ის არ შეესაბამება მენეჯერის პოზიციას, მან დასვა კითხვა თუ რა მენეჯერულ კომპონენტებს მოიცავს, აღნიშნული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია უმაღლესი განათლების ქონა სასურსათო ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ვეტერინარიის, სურსათის უვნებლობის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობების ან პროფესიული განათლების ქონა აგრო-სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით, მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვებულ პირს, ასევე უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება, მისი მხრიდან, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხების მართვას, სურსათის უვნებლობის, საწარმოს შიდა კონტროლის დანერგვას, მართვას და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ სთხოვა დარგის ექსპერტს, დაეფიქსირებინა პოზიცია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტმა გენადი კვერენჩხილაძემ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება საბჭოს წევრის გიორგი გამყრელიძის პოზიციას, მაგრამ კონკრეტულად ამ პროგრამასთან მიმართებით, მისი თქმით საკმაოდ არგუმენტირებულად წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა და განმარტა, თუ რატომ ჰქვია აღნიშნული პროგრამას სურსათის უვნებლობის მენეჯერის პროგრამა, დარგის ექსპერტის მხრიდან აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის წარმოებაში კონკრეტულად ერთი პროცესი არ მიმდინარეობს, არამედ ხდება სხვადასხვა რგოლების გაერთიანება, ამრიგად, მისი პოზიციაა რომ აღნიშნული პროგრამისთვის მენეჯერის ტერმინოლოგიის გამოყენება მართებულია. ამ საკითხთან მიმართებით, საწარმოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის განხორციელების პროცესში სტუდენტს საწარმოში ექნება მენეჯერული უნარების განვითარების შესაძლებლობა, მისი თქმით სურსათის უვნებლობის მენეჯერმა უნდა მართოს ციკლი, ჩანაწერები, ტემპერატურული რეჟიმი და ა.შ.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ დასვა დამაზუსტებელი კითხვა, სურსათის უვნებლობის მენეჯერი იქნება პროცესის, თუ ადამიანური რესურსების მენეჯერ. ,რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ გააჩნია ვითარებას, ის თავისთავში შესაძლოა ორივე კომპონენტს მოიცავდეს.

საბჭოს წევრმა, თორნიკე თოხაძემ დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ იგი მენეჯერის მიმართულებაში ვერ ხედავს პრობლემას, მაშინ როდესაც დარგის ექსპერტმაც ისაუბრა იმაზე, თუ რას მოიცავს თავისთავში აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრებმა, გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენეს სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ თათბირის ფორმატში საბჭომ იმსჯელა და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა მენეჯერი გარკვეულ უხერხულობას იწვევს და უფრო მართებულად მიაჩნიათ სიტყვა სპეციალისტის მითითება, მათ მოისმინეს ამ საკითხთან დაკავშირებით დარგის ექსპერტის, დაწესებულებისა და დამსაქმებლების პოზიცია, იქვე აღნიშნა, რომ საბჭოსთვის ამოსავალი წერტილი გადაწყვეტილების მიღებისას არის დარგის ექსპერტის მოსაზრება, ამდენად, საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ დარგის ექსპერტის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ /01395/ „სურსათის უვნებლობის მენეჯერი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ პრესტიჟს (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სურსათის უვნებლობის მენეჯერი /01395/ (დანართი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კოლეჯებს, რომ განსახილველი საკითხებიდან დარჩა სამი საკითხი. მისთვის ცნობილი იყო, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრი ტოვებდა სხდომას 13:00 საათზე, ამიტომ თავმჯდომარემ შესთავაზა წევრებს, ოპერატიულ რეჟიმში დაეწყოთ დარჩენილი საკითხების განხილვა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაეწყოთ სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ პროგრამების განხილვით.

**3. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01407/ „მევენახეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**4. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ /01403/ „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სამჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

ვიზიტის დროს არცერთ პროგრამაში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.  
ვიზიტის დროს რეკომენდაცია არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ორივე საკითხი განეხილა კოლეჯის წარმომადგენელს და წარმოედგინა ინფორმაცია მოკლე დროში. თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ძირითადი კითხვები, არსებობდა „მევენახეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“ პროგრამის სახელთან დაკავშირებით. ექსპერტს აქვს მითითებული, რომ დასახელება არის ზოგადი, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული და დაკონკრეტებულია „აჭარის მაღალმთიან რეგიონში“, თუმცა ეს რეგიონი არ განსხვავდება სხვა რეგიონებისაგან, რომ ჩაითვალოს სახელის დაკონკრეტებად და რეკომენდაციაა გაცემული პროგრამის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, მაგალითად, ვენახის გაშენება და მოვლა. ვინაიდან და რადგანაც „მევენახეობის“ სახელთან დაკავშირებით ადრეც ჰქონდათ სხვა დაწესებულების პროგრამასთან გარკვეული პრობლემები, ისიც იმეორებდა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის სახელს.

საკითხი წარადგინა კოლეჯის დირექტორმა, თავდაპირველად მან ისაუბრა პროგრამა „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავების“ შესახებ. ყურადღება გაამახვილა განახლებულ სასწავლო გარემოზე. აღნიშნა, რომ დემოკრატიის ინსტიტუტის მხარდაჭერით, შეძენილ იქნა ლაბორატორია, რომელიც აჭარაში აქამდე არ არსებობდა და მეღვინეებს უწყევდათ

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩასვლა ამ საკითხთან დაკავშირებით. დღეს კი კოლეჯმა უზრუნველყო, უკვე ადგილზე სრული ლაბორატორიული მომსახურება. კოლეჯის დირექტორმა საბჭოს წევრებს წარუდგინა სარეკლამო რგოლი, როგორც ერთი, ისევე მეორე პროგრამისათვის. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლად შეძენილი ლაბორატორია არის საკმაოდ ძვირიანი, თანამედროვე და შეუძლია მრავალფეროვანი 16 სახის კვლევისა და ანალიზის ჩატარება. ასევე, ისაუბრა დემოკრატიის ინსტიტუტის მხარდაჭერაზე ორივე პროგრამასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პროგრამას „მევენახეობა აჭარის მაღალმთიან რეგიონში“, კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტების განმავითარებელ რეკომენდაციას სახელთან დაკავშირებით ითვალისწინებენ, „ეთანხმებიან და პროგრამას წარმოადგენენ სახელით - „ვენახის გაშენება და მოვლა“. ასევე აღნიშნა, რომ ყავთ პარტნიორები და პრაქტიკულ კომპონენტი მთლიანად პარტნიორ ორგანიზაციებთან მიმდინარეობს. რაც შეეხება თეორიას, მიმდინარეობს კოლეჯში. წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მევენახეობის დარგის მნიშვნელობაზე აჭარის რეგიონში. რომ მას არამარტო აგრარული, არამედ ტურისტული სფეროს განვითარების პოტენციალი აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა პროგრამის პარტნიორი შპს ძმები ავალიანების -დამსაქმებლების აზრი, თუ როგორ აპირებდნენ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებას და ასევე, საინტერესოა, იყვნენ თუ არა ჩართულები თვითონ პროგრამის შედგენაში.

კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ლაშა ზოიძე და გიორგი ავალიანი (პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე) ესწრებოდნენ სხდომას და შეეძლო სიტყვის წარმოთქმა.

ბატონმა გიორგი ავალიანმა მადლობა მოუხადა საბჭოს და განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეგიონისთვის. მან ისაუბრა, რომ საკუთარი მარნისთვის ტექნოლოგს და ლაბორანტს დედაქალაქიდან იძახებს ხოლმე, ვინაიდან ადგილობრივი კვალიფიციური სპეციალისტი არ არსებობს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტში ისეთი კადრების გადამზადება, რომელიც დაეხმარება ღვინის გადამუშავებაში, იქნება მოთხოვნადი კადრი არა მარტო მისთვის, არამედ სხვა დაწესებულებებისათვის. ბატონმა გიორგიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებული კადრი იქნება მისაღები ნებისმიერი მცირე თუ დიდი მარნისთვის, მას არ დასჭირდება კიდევ გადამზადება, რადგან პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრის მომზადებას. სწორედ ამიტომ მოსწონს და ჩართულია პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დარგის ექსპერტს გადასცა სიტყვა, მისაღებია თუ არა შეცვლილი სახელი, და ისევე ხომ არ იმეორებს კვალიფიკაციის სახელს ან ხომ არ არის შეცდომაში შემყვანი. დარგის ექსპერტმა სანდრო ჩალათაშვილმა აღნიშნა, რომ მათ მიერ მიცემული რეკომენდაცია სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია და აღარ აქვთ კითხვები, ხოლო თუ საბჭოს წევრებს ან ცენტრს აქვთ რაიმე დამატებითი კითხვა მზადაა პასუხისათვის.

ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამის ფარგლებში ექსპერტთა დასკვნა არის დადებითი, ყველა დოკუმენტი, ყველა პარამეტრი და ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. რაც შეეხება სახელწოდებას, აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტის მაგალითი სხვა დაწესებულებასთან უკვე ჰქონდათ და ექსპერტთა რეკომენდაცია მათთვისაც იგივე იყო, თუმცა მაშინ დაწესებულება არ დაეთანხმა, ხოლო ამ შემთხვევაში დაწესებულებამ გაიზარა ექსპერტის და ცენტრის პოზიცია და შეცვალა პროგრამის სახელი. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია, ასევე მისასალმებელია დამსაქმებლის ასეთი ჩართულობა პროგრამის მიმდინარეობაში.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ მესხიშვილმა მომავლისთვის, კოლეჯ ბლექსის მოუწოდა, რომ კარგი იქნებოდა დუალური საკვალიფიკაციო პროგრამების განხორციელება, რადგან წარმოდგენილი ორი პროგრამა დიდ შესაძლებლობას იძლევა შემდგომში განახორციელოს საკვალიფიკაციო პროგრამები. ამის მხარდასაჭერად მზად იქნება, როგორც თვითონ, ასევე, სხვა დონორი ორგანიზაციები.

დახმარება და თანამშრომლობა გამოთქვა ასევე ცენტრმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯი „ბლექის“ /01407/ „ვენახის გაშენება და მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „ბლექის“ მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - /01407/ „ვენახის გაშენება და მოვლა“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯი „ბლექის“ /01403/ „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯი „ბლექის“ მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ” /01403/ „ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა თამარ ჯაფარიძემ.

**5. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.  
გაიცა რეკომენდაციები.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ტრენერ/ფსიქოლოგმა ლელა მერაბიშვილმა, რომელმაც ისაუბრა პროგრამის იმ ნაწილებზე, რომელიც დოკუმენტებში არ იყო ჩაწერილი.

მან აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამა უკვე აქვთ, რომელზეც 2019 წელს მიიღეს განხორციელების უფლება, რომელიც მიმდინარეობს წარმატებით, თუმცა პანდემიის პერიოდში საკმად ბევრი ცვლილება მოუწიათ და სხვანაირად შეხედეს პროგრამას, იფიქრეს, თუ როგორ შეეძლოთ თავიანთი გამოცდილების გაზიარება სხვებისათვის. გამოიკვეთა ის, რომ 112 ძალიან სწრაფად რეაგირებს პრობლემაზე და დროულად და სწრაფად შეუძლია მისი დაძლევა და განვითარება სხვადასხვა მიმართულებით. პანდემიის რეჟიმში, როდესაც მთლიანად დისტანციურ რეჟიმზე იყო გადასული მსოფლიო, ქოლ ცენტრის ოპერატორებს ძალიან დიდი დატვირთვა მოუწიათ, ამიტომ 112-ის გამოწვევა იყო შეექმნათ „114“, პროცესში კი მიხვდნენ, რომ მოვლენები კარგად მიმდინარეობდა და მოახდინეს სხვა დაწესებულებების ოპერატორების გადამზადება. მათი გადამზადების პროგრამა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და კარგად მიმდინარეობდა და კადრს მეტ კომპეტენციას სძენდა. გაჩნდა სურვილი, ასევე, სხვა კომპანიებიდანაც წამოვიდა ინიციატივა, რომ გადაემზადებინათ კადრი 112-ის რესურსით და დახმარებით. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა ამ პროგრამის საჭიროება. პროგრამის ძირითადი მიზანია დაეხმარონ სხვადასხვა ორგანიზაციებს კადრების გადამზადებაში.

ქ-მა ლელამ ისაუბრა პროგრამის შინაარსზე, ყურადღება გაამახვილა ემოციების მართვის ნაწილზე და ახსენა, რომ ესაა მათი ძლიერი მხარე, რადგან ემოციების მართვის ნაწილში აქვთ საკმაოდ დიდი გამოცდილება, რომელიც შეუძლიათ სხვებსაც გაუზიარონ. ასევე, აღნიშნა, რომ ყველა ის ტრენერი, რომელიც ჩართულია პროგრამაში, თვითონაც იყო გარკვეული პერიოდი ქოლ ცენტრის ოპერატორი. შესაბამისად, მათი გამოცდილება პროგრამის მონაწილეებს ძალიან გამოადგება.

ქ-მა ლელამ, ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების ლაკონურად ჩამოყალიბებას, არის გათვალისწინებული და უკვე შესრულებული, ხოლო მეორე რეკომენდაცია, ის, რომ პროგრამაზე დაშვებამდე მომხდარიყო კანდიდატის კომპიუტერული ცოდნის დონის განსაზღვრა, ესეც გათვალისწინებული და შესრულებულია.

მან, ასევე, საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გააცნო პროგრამის პარამეტრები, და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 3 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები 112 - ის წარმომადგენელთან.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ გააკეთა კომენტარი პროგრამის შესაბამის დასკვნასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციის უკვე უფლებამინიჭებულ

პროგრამასა და ამჟამად წარმოდგენილ ახალ პროგრამას შორის განსხვავებები ნამდვილად არის. ასევე, აღნიშნა, რომ 112- ს პანდემიის პერიოდში მოუწია დაახლოებით 1000 ადამიანის გადამზადება და სწორედ აქედან გაჩნდა ახალი პროგრამის განხორციელების იდეა. ასევე, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და გაიცა მხოლოდ რეკომენდაციები 1.4 და 1.6. ქვესტანდარტთან დაკავშირებით.

1.4. ქვესტანდარტი - პროგრამის დაშვების წინაპირობაა საშუალო ანუ სრული ზოგადი განათლება. ასევე, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა- გასაუბრება.

პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე, რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობაში დაემატოს კომპიუტერული პროგრამების (WORD, EXEL) საბაზისო ცოდნა.

თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გასაუბრების ეტაპზე ხდება გამოკითხვა, თუ რამდენად ფლობენ კომპიუტერულ უნარებს აპლიკანტები. ამიტომ, მხოლოდ რეკომენდაცია გაიცა ამ საკითხთან დაკავშირებით.

1.6. ქვესტანდარტი- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს , თუმცა გავრცობილი სახითაა წარმოდგენილი, ამდენად, რეკომენდებულია, ლაკონურად და მარტივად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წევრებს ასევე წარმოუდგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტო მასალაც.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები 112 - ის წარმომადგენელთან. რაზეც ერთ-ერთმა წევრმა 112-ის წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რამდენად იყვნენ ჩართულები/გათვალისწინებულები ამ პროგრამაში შეზღუდული შესაძლებლობის პირები და რამდენადაა მორგებული პროგრამა მათზე.

112-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ყავთ შეზღუდული შესაძლებლობების თანამშრომლები, ამიტომ, სრულად ჰყავთ გათვალისწინებულები ისინი ყველა კომპონენტში და ადაპტირებული აქვთ მათთვის ყველაფერი. პროგრამაში ჩართვისთვის მათ მხოლოდ მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება უწევთ , დანარჩენი რაც შეეხება გარემოს თუ ინვენტარს, ყველაფერი ადაპტირებულია, ისინი არიან მაქსიმალურად ინკლუზიური და მარტივად უყურებენ, როგორც სწავლების, ისე მიღების პროცესს, და რადგანაც შეზღუდული შესაძლებლობის თანამშრომლები უკვე ჰყავთ და გამოცდილებაც დიდი აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ -ის /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ -ს მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა /01368/ „დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადება“.

თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს ორგანიზაციის სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო კოდის ელექტრონულ სისტემაში ცვლილებითვის ეთანამშრომლათ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან.

საბჭოს სხდომა დასრულდა 13:25 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა





დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01322	სურსათის უვნებლობის მენეჯერი რძისა და ხორცის პროდუქტების საწარმოში	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	10	დმანისი, სოფ. სარკინეთი

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01395	სურსათის უვნებლობის მენეჯერი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	12	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01407	ვენახის გაშენება და მოვლა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	26	ქართული	12	დაბა ქედა, წერეთლის N4

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01403	ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება	პროფესიული მომზადება	მეხუთე	18	ქართული	12	დაბა ქედა, წერეთლის N 4

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01368	დისტანციური ცენტრის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	3	ქართული	30	ქ. რუსთავი, ზ. ფალიაშვილის №1